ხელშეკრულება
უფასო ზარის სატელეფონო
მომსახურების შესახებ
01.01.20XX

ერთის მხრივ, შპს ”_____” (შემდგომში დამკვეთი), დირექტორის ____ სახით და მეორეს მხრივ, შპს “ალფაკომი” (შემდგომში შემსრულებელი), მისი დირექტორის ვასილ ქავთარაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

ხელშეკრულების საგანია დამკვეთისთვის უფასო ზარი 0800–ის მომსახურების მიწოდება.
დამკვეთის შერჩევით უფასო საინფორმაციო მომსახურების ნომრად განისაზღვრა 0 800 XX XX XX.

2. **მომსახურების ხარისხი და გარანტია**

შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს დამკვეთის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს;

3. **მომსახურების ტარიფები**

მომსახურების ტარიფები მოცემულია დანართ N1–ში და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;
შემსრულებელს უფლება აქვს შეცვალოს მომსახურების ტარიფები, რის შესახებac წინასწარ უნდა აცნობოს დამკვეთს დადგენილი წესის მიხედვით;

4. **ანგარიშსწორების ფორმა, ვადები**

შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში;
მომსახურების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით;
დამკვეთის მიერ დავალიანების გადახდა მოხდება ყოველი მომდევნო თვის 10 რიცხვამდე;
ხელშეკრულებაში მითითებული ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსრულებელს უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ გათიშოს მუხლ 1 მითითებულ ნომერზე უფასო ზარის მომსახურება (შემავალი ზარები) და დააკისროს damკვეთს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადასახდელი თანხის 0.1 % ოდენობით;

გათიშული ნომრის ხელახალი ჩართვა მოხდება დადგენილი წესის მიხედვით.

5. **ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 20XX წლის _____.
შემსრულებელს უფლბა აქვს ცალმხრივად ვადამდე ადრე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ დამკვეთი არღვევს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს ან არ იხდის დავალიანებას 1 თვის განმავლობაში.

დამკვეთს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ შემსრულებელი არღვევს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, რის შესახებაც 1 თვით ადრე უნდა შეატყობინოს შემსრულებელს.

6. ფორს–მაჟორი

მხარეები არ არიან პასუხისგებლები თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს გამოწვეულია ფორს–მაჟორული გარემოებებით.

7. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მხარეთა შორის დავა შეიძლება გადაწყვეტილი იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, შეუთანხმებლობის შემთხვევაში საქართველოSi მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

"დამკვეთი" შპს „___" მის:"___ " banki ____ ა/ა ____/GEL ს/კ ____ _____	"შემსრულებელი" შპს "ალფაკომი" mis.: "vi Ti bi banki" 220101666 a/a GE30VT6600000000313607 s/k: 204958340 _____
_____ დირექტორი	ვასილ ქავთარაძე დირექტორი